



საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო



BATUMI STATE MARITIME ACADEMY

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



საზღვაო ნავიგაცია

პროგრამის მოკლე აღმწერი



European Commission
TEMPUS



iamu



The
Nautical
Institute



INTERNATIONAL
MARITIME
ORGANIZATION





BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის დასახელება	საზღვაო ნავიგაცია
კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი	საზღვაოსნო მეცნიერების ბაკალავრი
პროგრამის ხელმძღვანელები	ალექსანდრე ცეცხლაძე, ასოცირებული პროფესორი alekssandr.cecchladze@bsma.edu.ge გივი ციციქიშვილი, ასოცირებული პროფესორი gakisskashvili@bsma.edu.ge
პროგრამის განხორციელების ადგილი	ბათუმი, რუსთაველის ქ. №53 ელ.ფოსტა: info@bsma.edu.ge
სწავლების ფორმა	დღის სწავლება -4 სასწავლო წელი (8 აკადემიური სემესტრი)
პროგრამის მოცულობა	240 ECTS
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა	პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ შესაბამისად
სწავლების ენა	ინგლისური ენა
სწავლების ფორმატი	ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული სამუშაოები, სასწავლო საცურაო პრაქტიკა





საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს ნაციონალური (დარგობრივი მახასიათებელი „საზღვაო ნავიგაცია“) და საერთაშორისო სტანდარტის STCW კონვენციის (A-II/1, A-II/2, A-II/3) , მოთხოვნების შესაბამისი დამხმარე, ექსპლუატაციისა და მართვის დონის საზღვაო გემის ნავიგატორი, რომელიც გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟისა და სათანადო მომზადების საფუძველზე შეძლებს ეტაპობრივად მოიპოვოს საოკეანო-სავაჭრო გემის სამეთაურო შემადგენლობის შესაბამისი პოზიცია;
2. მოამზადოს პრაქტიკულ მუშაობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს ნაოსნობის საფრთხეების იდენტიფიცირებას, პრობლემების გადაჭრას და კრიტიკულ აზროვნებას;
3. აღჭურვოს კურსდამთავრებული გემის კონსტრუქციების, მდგრადობის და ტექნიკური მომსახურების პროფესიული უნარ-ჩვევებით, მისცეს ცოდნა მოქმედი საზღვაო კონვენციების და კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინოს უსაფრთხო ნავიგაციის კონტროლი და მართვა, განუვითაროს მას ლიდერობის და გუნდური მუშაობის ჩვევები;
4. მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც ფლობს გემზე ვახტის გაწევის, ნავიგაციის, კომუნიკაციის და სატვირთო ოპერაციების დაგეგმვისა და ტვირთის უსაფრთხო გადატანის პროფესიულ უნარებს, ნაოსნობის უსაფრთხოების და ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციის საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად;
5. მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც ექნება საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნის და რეაგირების, გემის უსაფრთხო და ეფექტური ექსპლუატაციის და მართვის, უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემის ცოდნის, გაცნობიერების და პრაქტიკული გამოყენების უნარები, შეძლებს ხარისხის უზრუნველყოფას საკანონმდებლო ბაზის, კოდექსების და გზამკვლელების მოთხოვნების შესაბამისად;
6. მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ტრადიციული და სხვა მეთოდების გამოყენებით სიტუაციების, მონაცემების შეფასებას და ანალიზს;
7. განუვითაროს სწავლებისა და კვლევის დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
8. განუვითაროს კურსდამთავრებულს ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, რომელთა საფუძველზე ის შეძლებს პიროვნულ განვითარებას, კარიერულ ზრდას და სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე.





ცოდნა და გაცნობიერება:

1. აღწერს გემების ტიპებს კონსტრუქციების, ზომების, სატვირთო საშუალებების და გადასაზიდი ტვირთების მიხედვით; საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით განსაზღვრავს ტვირთების სახეობათა კლასიფიკაციას და მათი უსაფრთხო გადაზიდვის ტექნოლოგიებს;
2. ჩამოთვლის საერთაშორისო საზღვაო კონვენციების მოთხოვნების შესაბამისად გემის სამაშველო საშუალებების სახეებს და მათ მახასიათებლებს, გემის ეკიპაჟის მოქმედებას საგანგებო სიტუაციებში, ხანძართან ბრძოლის წესებს, გემის მიერ გარემოს დაზინძურების თავიდან აცილების უზრუნველყოფის პროცედურებს;
3. აღწერს გემის გარემომცველი სივრცის, ატმოსფეროსა და ზღვის გარემოს ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, განსაზღვრავს ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების კლასიფიკაციას და მათ ზეგავლენას გემის მართვადობაზე;
4. ჩამოთვლის გემის უსაფრთხო მართვის და ექსპლუატაციის, ნავიგაციური ვახტის ორგანიზების პრინციპებს, ზღვაში გემების ბუქსირებისა და მერჩიდან მოხსნის წესებს; განსაზღვრავს ინტეგრირებული მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნებს;
5. აღწერს გემის მდგრადობის კრიტერიუმებს, ჩამოთვლის ცურვადობის, მართვადობის და სვლისუნარიანობის თეორიულ საფუძვლებს; განსაზღვრავს გემის მოწყობილობების სახეობებს და მათი ტექნიკური უზრუნველყოფის მეთოდებს;
6. ხსნის საზღვაო ასტრონომიის საფუძვლებს და ასტრონომიული მეთოდების გამოყენებით განსაზღვრავს გემის ადგილმდებარეობის და კომპასის შესწორების მეთოდებს; ჩამოთვლის ელ.-კარტოგრაფიული რუკების წაკითხვის და გამოყენების წესებს; აღწერს ნავიგაციური მეთოდებით გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრის პრინციპებს;
7. აღწერს გემების სანავიგაციო და რადიოლოკაციური სისტემების ფუნქციონირების პრინციპებს, მუშაობის რეჟიმს და ექსპლუატაციის წესებს;
8. აღწერს გემის ძალური და ელექტრული სისტემების ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს და მათი ტექნიკური ექსპლუატაციის უსაფრთხო მეთოდებს;

უნარი:

1. ახორციელებს გემზე სამსახურობრივი მოვალეობების და ვახტის მიღება- ჩაბარების პროცედურებს, გეგმავს და ორგანიზებას უწევს სამტურმანო სამსახურს, გემის ეკიპაჟის საქმიანობას და მომზადება-გადამზადების პროცესს, გემის ჟურნალების წარმოებას, დოკუმენტაციის აღრიცხვას, ჩაწერას და შენახვას;
2. გეგმავს და ახორციელებს სატვირთო ოპერაციებს, ამზადებს ანგარიშებით დოკუმენტაციას, უზრუნველყოფს ტვირთების უსაფრთხო გადაზიდვის ნორმების შესრულებას, მათ შორის სახიფათო ტვირთების გადაზიდვას დადგენილი საკანონდებლო მოთხოვნების შესაბამისად;
3. ამზადებს გემის მდგრადობის ანგარიშს IMO-ს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად;
4. მოიძიებს და იყენებს ამინდთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ახორციელებს ატმოსფეროში და ზღვაზე მიმდინარე ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე დაკვირვებას, ახდენს შედეგების სწორ ინტერპრეტაციას ამინდის ფაქტორი და მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით;
5. იყენებს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის სტანდარტულ საზღვაო-საოკეანო ფრაზებს; იმ მოცულობით ფლობს სამუშაო ენას (ინგლისურ ენას), რაც აუცილებელია გემის ნავიგაციის ფუნქციონალური მოვალეობების შესასრულებლად სანაპირო და საზღვაო სამსახურებთან საქმიანი კომუნიკაციის წარმოებისთვის;
6. ნავიგაციური და ელექტრო-კარტოგრაფიული რუკების გამოყენებით ადგენს გემის ადგილმდებარეობას; ასრულებს ძირითად საზღვაო ასტრონომიურ და ნავიგაციურ ამოცანებს, რადარის და სხვა ნავიგაციური ხერხების გამოყენებით განსაზღვრავს შეჯახების რისკებს და ახდენს სათანადო რეაგირებას;
7. ახორციელებს ზღვაზე მიებისა და გადარჩენის ოპერაციების ორგანიზებას და ჩატარებას, გემის მართვას სამაშველო ოპერაციების შესრულების დროს;
8. აანალიზებს გემის კლასიფიკაციის და ინსპექტირების საკითხებს;
9. საერთაშორისო მოთხოვნებისა და ნორმების შესაბამისად ახორციელებს გარემოსდაცვით პროცედურებს;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

1. ცნობს პროფესიული ეთიკის ნორმების გათვალისწინებით აანალიზებს საზღვაო სფეროში ეფექტური მმართველობის მნიშვნელობას; იღებს პასუხისმგებლობას მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების, გუნდური მუშაობის და ლიდერობის პრინციპების შესრულებაზე;
2. ანახლებს ცოდნას და უნარებს, ცნობს პროფესიული ეთიკის სტანდარტების საჭიროებას, ტრანსფერული და დარგობრივი უნარების განვითარების აუცილებლობას; დამოუკიდებლად გეგმავს საკუთარი სწავლის და კვლევის პროცესს, ობიექტურად აფასებს მიღწეულ კომპეტენციებს, იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ კარიერულ ზრდაზე, ცნობს პიროვნული ზრდისა და თვითგანვითარებისთვის სწრაფვის აუცილებლობას.



პროგრამის სტრუქტურა

„საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი“ აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა მოიპოვოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი 240 ECTS კრედიტი. ყოველ სასწავლო წელს სტუდენტს ეძლევა საშუალება სტანდარტულად აითვისოს 60 კრედიტი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში).

დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებს, ვისაც აქვს სასწავლო კურსის განმეორებით გავლის უფლება, ეძლევათ სასწავლო კურსის დარეგისტრირების შესაძლებლობა როგორც ძირითადი (კალენდარული) სასწავლო სემესტრის, ასევე დამატებითი (ზაფხულის არდადეგების პერიოდში) სემესტრის დროს.

ყოველი სასწავლო სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 კვირას, საიდანაც 15 კვირა ეთმობა მეცედინეობების ჩატარებას, 4 კვირა – სტუდენტთა ცოდნის შეფასებას, ხოლო 1 კვირა - განმეორებით (Fx) გამოცდებს. გამონაკლისს წარმოადგენს V (სასწავლო საცურაო პრაქტიკის) სემესტრი, რომელიც გახანგრძლივებულია და შეადგენს 180 დღეს, ანუ 6 თვეს. პრაქტიკის სემესტრის გახანგრძლივება განპირობებულია მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ კანონსა და STCW კონვენციაში მეზღვაურთა მომზადებისა და სერტიფიცირების პროცესში შესაბამისი საცურაო სტაჟის მინიმალური ხანგრძლივობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სასწავლო საცურაო პრაქტიკისა და სტუდენტის საოკეანო სავაჭრო გემებზე პრაქტიკის ხანგრძლივობამ მთლიანობაში უნდა შეადგინოს არანაკლებ 12 თვე. სასწავლო საცურაო პრაქტიკას სტუდენტები გადიან საზღვაო აკადემიის საწვრთნელ გემზე - “CADET”, აგრეთვე ბათუმის, ფოთისა და ყულევის საზღვაო პორტების მართვის ქვეშ არსებულ 500 სარეგისტრო ტონაზე უფრო დიდი წყალწყვის გემებზე.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული, რომელსაც მინიჭებული აქვს აკადემიური ხარისხი „საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი“ შესაძლებელია აგრეთვე დასაქმდეს:

- საზღვაო ტრანსპორტთან დაკავშირებულ კერძო კორპორაციულ, სტივიდორულ, კონსალტინგურ და სხვა კომპანიებში;
- სახელმწიფო სამსახურებში, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია საზღვაო ტრანსპორტის რეგულირებასა და კონტროლთან;
- გემთმშენებელ და გემთშემკეთებელ საწარმოებში.

„საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი“ აკადემიური ხარისხის მქონე პირს აქვს სათანადო ცოდნა და კომპეტენცია სწავლის მაგისტრატურაში გასაგრძელებლად.



ადამიანური რესურსი

- პროფესორი -4
- ასოცირებული პროფესორი -10
- ასისტენტ პროფესორი - 1
- ასისტენტი-1
- მოწვეული მასწავლებელი-23
- სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი-4

მატერიალური რესურსი

საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის სტუდენტს უფლება აქვს წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს საზღვაო აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მათთვის ხელმისაწვდომია:

- თავისუფალი დაშვება ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერულ ცენტრში;
- თავისუფალი დაშვება აკადემიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში;
- ფიზიკის, ტექნიკური მექანიკისა და ქიმიის ლაბორატორიები სასწავლო და კვლევითი ხასიათის სამუშაოების ჩასატარებლად;
- გემის აგებულების, გემის ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაციის, ელექტრომოწყობილობების, პნევმატიკისა და ჰიდრავლიკის, ელექტროტექნიკის და ავტომატიკის ლაბორატორიები;
- საზღვაო აკადემიის მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის ტრენაჟერული ბაზა და სიმულატორები;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
სრულყოფილი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველსაყოფად აკადემია სტუდენტებს სთავაზობს:
- სხვადასხვა სახის კულტურულ, შემეცნებით და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას;

შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და საზღვაო აკადემიის 2019 წლის 23 აპრილის სენატის №7/11 გადაწყვეტილებებით ბრძანებით დამტკიცებული „გამოცდების და შეფასების პროცედურით“.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო კომპონენტში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

ცოდნის შემოწმების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსში.



I	1.ბიზნეს ინგლისური. 2.ქართული ენა 5 ECTS	ფიზიკური მომზადება I 2 ECTS	მათემატიკა MF I 5 ECTS	ზოგადი ფიზიკა MF I 5 ECTS	აკადემიური წერა 5 ECTS		საზღვაო გზების გეოგრაფია 5 ECTS	საზღვაო საქმე 5 ECTS
II	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 6 ECTS	საზღვაო ჯანდაცვა 4 ECTS	ფიზიკური მომზადება II 2 ECTS	მათემატიკა MF II 5 ECTS	ზოგადი ფიზიკა MF II 5 ECTS	ინდუსტრიული ქიმია MF 4 ECTS	ინფორმაციული ტექნოლოგიები საზღვაო საქმეში MF 4 ECTS	
III	საზღვაო ინგლისური ენა MN 1.1 5 ECTS	გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესები 5 ECTS	საზღვაო ნავიგაცია I 5 ECTS	გემის უსაფრთხოების წესები MN 5 ECTS	ასტრონავიგაცია I 5 ECTS		გემის ტიპები, კონსტრუქციები და ტექნიკური აღჭურვილობა 5 ECTS	
IV	საზღვაო ინგლისური ენა MN 1.2 5 ECTS	გემის მართვა და მანევრირება 5 ECTS	საზღვაო ნავიგაცია II 5 ECTS	საზღვაო კომუნიკაციები და რადიონავიგაციური სისტემები 5 ECTS	ასტრონავიგაცია II 5 ECTS		გემის მდგრადობა 5 ECTS	
V	სასწავლო საცურაო პრაქტიკა MN 30 ECTS							
VI	საზღვაო ინგლისური ენა MN 2 5 ECTS	სანავიგაციო ხელსაწყოები 5 ECTS	ზღვის გარემოს დაბინძურების პრე ვენცია და დაბინძურებასთან ბრძო ლის პროცედურები 5 ECTS	გემის ძალური და ელექტრული სისტემები 5 ECTS		საზღვაო მეტეოროლოგია 5 ECTS		საზღვაო სამართალი 5 ECTS
VII	ხარისხის უზრუნველყოფა და საზღვაო რისკების მართვა გემებზე 5 ECTS	საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციები 5 ECTS	გემის კომერციული მენეჯმენტი 5 ECTS	ნაოსნობა ელექტრონული რუკების გამოყენებით (ECDIS) I 5 ECTS		რადიოლოკაციური სისტემები 5 ECTS		სატვირთო ოპერაციები თხევად ტვირთობიდან გემებზე 5 ECTS
VIII	პროფესიული ცოდნა და კომპეტენციები MN 5 ECTS	სატვირთო ოპერაციები მშრალ ტვირთობიდან გემებზე 5 ECTS	ლიდერობა და ეთიკა 5 ECTS	ნაოსნობა ელექტრონული რუკების გამოყენებით (ECDIS) II 5 ECTS		გემის მენეჯმენტი 5 ECTS		ხიდურის რესურსების მართვა 5 ECTS



BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ღირსება, ცოდნა, გამოცდილება!